

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ზ. შაინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Вѣ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., ხაზის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

სოციალ დემოკრატიის ბარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივ ასოებით—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

ილიანე-მღვთის მებრძოლის დღესასწაულის გამო, ხვალ ხუთშაბათს, გაზეთი არ გამოვა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასნაში და აზნაუროვის მაღაზიაში, მოლოვიჩის პროსპექტზე. დაწყება 7½ საათზე. (3—3)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ზ. შაინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Вѣ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროზა“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილთ—სამი მანეთი.

საქართველო

დღიური

* * * დღეს საღამოს თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული წარმოდგენა არის; ითამაშებენ: უფ. ბ. თუმანიშვილისაგან ნათარგმნს მოლიერის სამ-მოქმედებიან კომედიას „შერცხვენილი ქმარი“ (შორაქ დანდენი)

განცხადებანი

ოთხშაბათს, 26 მკენისთვეს

ქართული ტრუბუნისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

შერცხვენილი ქმარი

(„შორაქ დანდენი“) კომედია სამს მოქმედებად

II

სცენები

ორ მოქმედებად—მეღვინეთხუცესოვისა

„თფილისის წიგნის-სოდნის გამგვრცელებელ საზოგადოების“ თავმჯდომარე ანტონოვს უ. უ. საზოგადოების წევრთა, რომ, ვინაიდან საპრო უნივერსიტეტის გამგვრცელების წევრთა რიცხვის მომატება (წესდების § 16, შენიშვნა) და მრავალთა განაცხადს სურვილი საზოგადოების წევრათ შემოსვლის, ის, თანახმად წესდების § 11 მუხლისა, ნიშნავს საზოგადოების წევრთ უჩვეულო უკილოებას 21 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, თფილისის თავად-აზნაურების ბანკის შენობაში.

ვისაც სურს საზოგადოების წევრათ შემოსვლა უნდა წინ-და-წინ გამოგზავნოს საზოგადოების კანცელარიაში, Вѣ Тифлисъ. На Давидовской улицѣ, № 20, განცხადება.

საზოგადოების საქმის - მწარმოებელი ი. მუშნარბია.

(3—3)

ფელტონი

ისტორიული მასალები.

(ზაგრძელება*)

ამ უბედურ შემთხვევისათანავე საქართველოს შინაგანი გამკეში იუდა-ძანები ფეხზე დადგნენ, მოედნენ ყოველსანახ-საზღვრებზედ ტურა-მეღვინეებით, იწყეს მისელა-მოსელა, დაუწყეს მტერთკარის კაცთ, სიცილ ტაქსალით ჩურჩულ-კურკური.

ოთხ კუთხივ გარემო მტერთ ერთი თვალი ოთხად გააღეს: ახალციხის სულეიმან-ფაშა წელში გაიმართა; შარბაღის ხანი განზედ გადა; ლეკები გამრავლდნენ, გაძლიერდნენ და დიდს მზადება-თადარიგით ლამოდნენ საქართველოში შემოსევისა ასაოხრებელად ხრმალ ცეცხლითა ისე, როგორც მგლის მშიე-

რი ხროვა, რა ნახამს ტიალ მინდორზედ უმწყემსოდ დაყრილ ცხერის ხარგასა, მიესევა გამხეცებულად, რომ უწყონ უწყალოდ ხიზა, დაკოდვა და დაშავება!..

მართლა, ხუთი ათასამდის ლეკები მაშინვე გარდმოხვედნენ საქართველოზედ, მრავალგან შეუყენეს დაწიოკება, თავში ცემა, ანალეწი. პირველად დაესხნენ, ღიასამიძის სახლელონი გაიყვანეს ტყვედ საქაშვეთითგან; მაგრამ ბედზედ შართველთ და რუსთ მხედრობა დახედნენ ქალასა, შეუტრეს გარემო გზა, პირდაპირ შემბმელნი ლეკები აწყვიტეს, დაამარცხეს დააყრევინეს ყოველი ტყვე და ნაშოვარი და დამფრთხალნი ლეკნი მისთანა ადგილას შეინწყვიდეს, რომ ყოველი ღონე და ძალა მიუწყდათ, ან უნდა ერთიან ამოკლეთილიყვნენ ტყვია-ხმლითა, ან უნდა სრულ ტყვედ ჩაცვივნულიყვნენ და ან უნდა წყალში ჩამხრვალიყვნენ; მითი შეცვიდნენ ათასამდის ლეკები მტკვარში და სრულ დაიღრჩენენ. აქ ერთმა დედა-კაცმა თავის დამატყვევებელი ლეკი თურმე სრულ თრევათრეგით მიიყვანა ქართველთ მხედრობაში!

მსრეთი მარცხი ლეკებმა არცკი შეიმჩნიეს, არამედ სულეიმან-ფაშის შევიზგიზებით მის წლის თავს წამოვიდნენ დიდის სიმრავლით მრისხანენი. მართამ წყებამ ახტალის ვეცხლის ქანი (მადანი) აიღო, ხელთ გაიტარა, მეორე წყომა მოეფინა თფილისის გარემოს მდებარე სოფელ დაბებს, ვიდრე თფილისამდისაც მოაწიეს. პლაგ-ალაგს შართველები უტეხდნენ შეგმა-კინკლაობასა თვით ხმლით, ხანჯლით; დედა-კაცები კეტებით წინ უდგებოდნენ, ზოგთ ხოცდნენ, ზოგთ ჰკოდევდნენ თავ-პირს ამტერევდნენ; მაგრამ ამისთანა უთაურ უსაფუძვლო მოწინააღმდეგობა-ფანცქალით რა გაუხდებოდათ? მართი ორი თუ კვდებოდა შევდებოდა, ასი და ათასი წინ გამოდიოდნენ, ერთი ათად და ოცად შურის ძიებით ჯავრს ჰყრილობდნენ.

ამ დროს უთქვამთ ლეკი:

ღალისტანი შეიყარა შარი და ბელა-ქანაო, აცხო და აცხო ხინკალი, გუდასა ჩაიყარაო,

*) „დროება“, № 198.

და ღ. მეღვინეთუცესოვის ორ-მოქმედებიან ვოდევის „ქატი“ აწონა.

* * ბათუმიდამ გეცნობებენ, რომ აქ ქალაქიდამ არტანანდინ საცხენოსნო გზა, რომელიც ამ ქადალ ჩვენ ინჟინერებსა გაჰყავთ, ამ ზამთრამდინ მზათ იქნებაო. ბათუმიდამ შობულეთზე და მზურგეთისაკენ მომავალი საურმე გზაც მალე სრულად მზად იქნებაო.

მაგრამ, როგორც გვწერენ, ამ ორივე გზას, და განსაკუთრებით იმას, რომელიც აჭარაზე გადის არტანანისაკენ, ძალიან უხეიროთ, სუსტად აკეთებენო ისე, რომ ერთი უბრალო ნიაღვრარი რომ მოვიდეს, უფკველია, იმ წამსვე ჩამოშლის და გააფუჭებსო.

ამას გარდა იქაურ ინჟინერებზე ბევრი სხვა ცუდი ხმებიც გვესმის: უფროსი ინჟინერი, უფ. ზუბოვი, როგორც მუთაისში, ისე აქაც ყველაზე უფრო თავის კერძო სარგებლობას, „ინჟინერულ გამორჩენას“ მისდევსო და სხვ.

* * ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული ოფილისის გამოჩენილი მკითხავის ძოდელი ნინოს მოკვლა. ახლა გეცნობებენ, რომ ეს ამბავი ტყუილი ყოფილა: ძოდელი ნინო არც მოუკლავთ, არც დაუჭრიათ, იმას ბრჩილიც არ ასტკივნიანო, შეიღობით არის და ძველებურად, ხელოვნურად ასრულებს თავის წარჩინებულ ხელობას—მკითხაობასაო.

* * იმერეთიდამ გვწერენ, რომ იმ მადნის წყალზე, რომელიც მუთაისიდამ რვა-ათ ვერსის სიშორეზედ არის სოფ. წყალტუბოს, წყლის ძალიან ბევრი ხალხი იყვო, მაგრამ, საუბედუროთო, რადგან ეს მადნის წყალი სრულებით გაუკეთებელი და მოუწყობელი არის, ამის გამო

ხალხს ცოტა სარგებლობას აძლევსო. მა წყალი შუა მინდორში ამოდის თურმე, არც შენობა არის, არც კარები და არც სხვა არაფერი, რომ ავთამყოფებს შეეძლოსთ თავია შეფარვა. ძორრეს-პონდენტი ამბობს, რომ ან მთავრობამ, ან თვითონ ამ მადნის წყლის პატრონმა რომ აქ სადგომები გააკეთოს ავთამყოფებისათვის და ცოტა რამე მოაწყოს, დიდი სარგებლობა იქნებაო, რადგან აქაური წყალი სწორეთ აბასთუმნის მადნის წყლის მსგავსი არისო და იმერეთის ხალხი აქ უფრო ადვილად ივლის, ვინემ აბასთუმანშიო.

* * სომხურ გაზეთს „მელუ“ აიასტანში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ამ ქალაქის სომხის ქალებს შეუდგენიათ საზოგადოება, რომლის წევრთაც პირობა დაუდვიათ ერთმანეთისათვის, რომ სულ უბრალო სომხური ტანისამოსი ჩაიცვან ხოლმე, ო რ წ ე ლ ი წ ა დ შ ი ე რ თ ხ ე ლ გამოიცივალონ ეს ტანისამოსი (ეს კი ერთობ მომეტეულია!) და რაც ამგვარის მუყაითობით ფულებს მოაგროვებენ, მოიხმარონ ყმაწვილების აღზრდასა და სხვა ამ გვარ ქველ საზოგადო საქმეებისათვის.

წერილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორო!

თქვენ მიერ გამოცემულ გაზეთში „დროება“ № 194, მიზნებისა გამო გარდმოტანისა შიო-ღვიმის უდაბნოდგან ოფილისის შერის-ცვლების მონასტერსა შინა არხიმანდრიტის ძესარიოზის განკარგულებით ხელ-ნაწერთა წიგნთა, სხვათა შორის თქმულ არს:

„მა კარგი; მაგრამ ვინ გვეტყვის, რომ სხვა მონასტრების, უდაბნოების და ეკ-

კლესიების წინამძღვარნიც და მღვდელნიც ასე კეთილ-გონიერად და ზრდილად მოქცეულიყვნენ, როგორც მოქცეულა ამ შემთხვევაში მამა მესარიოზი! მინ დაგვარწმუნებს, რომ სხვებისაგან სემინარიის გამგეობაშია წარდგენილი ძველი წიგნები და ისტორიული ნივთები მთლად და კარგად არიან და სხ.?”

რადგანაც, როგორც მამა არხიმანდრიტი ძესარიოს „ოფილისის მესტინკით“ უსაფუძვლოდ განიციტა და აწ თქვენის პატივცემულის გაზეთით ყოველნი წინამძღვარნი და სამღვდლოება ვარდებიან ექვსა ქვეშე, ამისთვის ეალად ვრაცხნ თავსა ჩემსა გაუწყოთ სიმართლით შემდგომი:

ზანჩინებისა გამო საქართველო-იმერეთის სინოდლის ძანტორისა შემდგარის 27 აპრილს 1877 წელსა დაფუძნებული უქაზსა ზედა შუშინდესის შიმართებელის სინოდისა 22 თებერვალს იმავე წელსა № 2, შემგარ არს ოთხი კამისია რწმუნებულთა და პატიოსანთა სამღვდლოთაგან თავიჯდომარეობასა ქვეშე ჩემისა, შესამოწმებლად ქონებათა უმთავრესთა სობოროთა, მონასტერთა და ეკლესიებთა, და მე თითქმის კიდევ შევასრულე ესრეთი მონდობილება. შოველგან აღმოჩნდნენ როგორც ნივთეულობა და შესამოსელი, ისე ხელნაწერნი წიგნნი მთლად და კარგად შენახულნი; ყველგან წიგნის საცავნი არიან შენახულნი წიგნებითურთ სიწმიდით.

რაცა შეეხება მეთახევის მონასტრის ბიბლიოთეკას, განსვენებულის მამა არხიმანდრიტის ტარასისგან ისე რიგათ არის მშვენიერად მორთული ბიბლიოთეკა, რომ ყოველი მნახელი ისიამოვნებს, და წიგნი კატალოლისაებრ შემდგარისა, მისვე ტარასისგან დაცულ არიან სიმრთელით. და ესრეთ საქართველოს ეპარხიის მონასტერთა, სობოროთა და

აგზაენა მარჯვე ლეკები, მორიგად გაითვალაო, შემოცვინდნენ საქართველოს, ზოგთ კიდევც ერკოთ ფალაო. მრეკლემ ჰკუთა იხმარა, ურმები აიფარაო, ჩაუსხა გულ-მხნე ბიჭები, ესროლა ჩქარა-ჩქარაო. რაც ზედ მოვიდნენ მოშალეს, ვაჟკაცი გაახარაო, სულ კი ამას იძახოდნენ:—„ცოტა ვართ, არა კმარაო!“ მრეკლემ გარდმოიძახა:—„შემიკმაზეთ ბერი კვიცი, ამ უბანში დამიძახეთ, სადაც იყოს კარგი ბიჭი!“ შეჯდა, მათრახი ამოჰკრა და იქ მოხვდა ტანდრის ძირში, სთქვა:—„ღამაცადეთ, ლეკებო, მე რომ თქვენი რჯული ვიცი!“ ლეკებმა შეჰქმნეს ჩორჩქალი: „მოგვეწია არჩილ გივი!“ ზოგს მოგველამს, ზოგთა დაგვარჩენს, ლორის ქონსა გვასხამს პირში! ზურ-მამპაღი იქით გახტა, აქეთ დაუხვდა ჯარია,

შეუყენა ხოცვა და ჭრა, მიჰფანტ-მოჰფანტა, დარია; ბევრთ თავი ქვასა უხალა, ტვინი სისხლში ნაგარია, მაშინაც ბევრი დახოცა, ოღონდ იყარა ჯავრია...

მესამე წყება მმარ-ხანის წინამძღრობით მანის ციხეს შემოადგა იმერეთს. ისე დამურთხალი იყო საქართველო-იმერეთის საზოგადოება და გულ გატეხილი, რომ მის დროს არსითგან არ მოუვიდათ შემწე. მეციხოვნეთ 40 დღემდის თავ-მთლივად შეინახეს ციხე; გარეთგან მიმდგარი ლეკები უწყვეტლივ ჰბრძოდნენ, ხოიშანს არ აძლევდნენ. მაგრამ შიგანანიც მხნედ უდგან, ყოველ შემთხვევაში პასუხს აძლევდნენ თავიანთ დაგვარად. ბოლოს შიგნითგანვე გამოუვიდათ მეციხოვნეთ მოღალატე-გამცემი, რომელმანც ასწავლა ლეკებს შესავალი გზაკვალი ციხეში; შეტეხეს ერთ ღამეს უეცრად ნაეხშმევეს, მეციხოვნენი დიდი ნაწილი ხმალ ქვეშ გაავლეს, რაც დახვდათ საუნჯე-ქონება აიფორიაქეს; აბა-

შიძის ღელა, წული, მათთან შეხიზნული ყმა ქალით ერთიან ტყვედ გაიყვანეს.

მმარ-ხანი თავისთან ხლებული თვალმნაჩენი ლეკებით ახალციხეს ვადვიდა სულციმან-ფაშასთან, მიართვა ძღვნად თურმე დარჩეული ქალიშვილები, ზოგიც ახალციხის მოედანზედ გამოიყვანეს ლეკებმა მახათში ჩასაყენებლად; გარნა რა ლახვა, ლანძღვა, გინება ესმათ ფაშის მოწინაღმდეგე ენიჩრებისაგან, მაშინვე ისინიც სხვებთან ერთად გაარიდეს ერთ მხარეს, ზოგი ძარსისკენ ზოგი, არტანანისკენ და ზოგიც აჭარისკენ.

ხოლო მმარხანი რამდენიმე დღის მერმე ღამე ტყე-ტყე პარვით, როგორც იყო თავისიანებით გარდვიდა თავის ქვეყანას (1785 წ.).

მინმე მესხი.

ახალციხე, 20 სექტემბერს.

(მაგრებლება)

ეკლესიებთა შინა არავითარიმე დაუღვენელობა და მტარვლობა არა სუფევს, რომელთაგანაც დაგვიხსნას ღმერთმან.

ხოლო რაიცა შეეხება მას, რომ სემინარიის პრავლენიემ სთხოვა სინოდალონის კანტორასა გარდაცემა ხელნაწერთა წიგნთა სემინარიის ბიბლიოთეკისადმი, აი ეს ესე იყო: სემინარიის პრავლენიემ 18 მაისს 1876 წელსა მოახსენა სინოდალონის კანტორასა, რათა მოეხდინა განკარგულება გარდატანისათვის ხელნაწერთა წიგნთა ქონებულთა საქართველოს მონასტერთა და სობოროთა შინა, სემინარიასა შინა, უკეთესე შესაძლებელ იქნებოდა. ამაზედ სინოდალონის ძანტორამ დასდვა რეზოლიუცია 31 მაისს იმავე წელსა; მოეთხოვოს ყოველთა მონასტრების წინამძღვართა და ბლალღოხინთა და მათ შორის იმერეთის ეპისკოპოსსა აზრი: თანახმანი არიან ივინა დაუთმონ ხელნაწერნი წიგნნი სრულიად საკუთრებად ანუ დროებით საარგებლობისათვის?

ღღეს აქამომდე, თუმცა რომელთამე წინამძღვართა წარმოდგინეს ცნობანი—თუ ვის მონასტერში რა წიგნი იქონიების, გარნა ჯერ ძანტორას არ უქმნია განკარგულება გარდაცემისათვის ხსენებულთა ხელწერილთ სემინარიისადმი. მხოლოდ, როგორც აღმოჩნდა დროსა შემოწმებისა ჩემ მიერ ბოდბის წმიდის ნინას სობოროსა და სინას საქმიდგანაც, წინამძღვარს მისს სობოროსას წარუგზავნია ოფილისის სასულიერო სემინარიის პრავლენიეში რაოდენიმე ხელნაწერი წიგნი, დროებით სასარგებლოდ, და აქ საიმედო არის, რომ სემინარიის პრავლენიე ისევ დაუბრუნებს სიმრთელით.

ზოხოვთ ამ სტატიას მისცეთ თქვენს გახეთს „დროებაში“ ადგილი უმახლობელეს ნომერში.

პრინციპალიტი მაკარი.

ოფილისი, 24 სექტემბერს.

მოგვყავს აქვე პირი იმ ქალღლისა, რომლითაც ოფილისის სასულიერო სემინარიის პრავლენიას ანუ მამგეობას უთხოვნია სინოდალონის ძანტორისათვის შემოსხენებული ძველი ხელნაწერებისა და ნიეთების მოგროვება საქართველოს მონასტრებისა, უდაბნოებისა და ეკლესიებისაგან და გამოგზავნა, ან საკუთრებად ან დროებით სასარგებლოდ, სემინარიის გამგეობაში:

ოფილისის ძართლ-ძახეთისა და სასულიერო სემინარია, იმერეთის სინოდალ-მამგეობა, ნი ძანტორაში.

ოფილისი, 18 მაისი 1876

წინადადებისა გამო ოფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მ. არხიმანდრიტის აბრაამისა იმის თაობაზედ, რომ ყველა ხელნაწერი წიგნები, რომელნიც საქართველოს ეგზარხატის მონასტრების ბიბლიოთეკებში იპოვიან,

მოგროვილ იქმნენ ოფ. სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში,—ამ სემინარიის მამგეობას პატივი აქვს, მისის მაღალ ყოველდღესაღმდებლოდგონების მგზარხოსის ნება-რთვით, უმორჩილესად სთხოვს საქართველო-იმერეთის სინოდის ძანტორას, ინელმძღვანელოს იმით, თუ რამდენად საჭიროა აღმოჩენა და გაცნობა ძველის საქართველოს ხელნაწერთ სახსოვართა, და მოახდინოს განკარგულება, რომ ყველა ეკლესიებში, მონასტრებში და უდაბნოებში, საცა კი საქართველოში შემოაღნიშნული ხელნაწერები მოიპოვება, შეადგინონ დაწვრილებითი სია და კატალოგები ამ ხელნაწერებისა და ყველა გამოგზავნონ სასულიერო სემინარიის მამგეობაში ან დროებით სასარგებლოდ და ანუ სამუდამო საკუთრებათ, თუ ამაზე დათანხმდებიან სინოდის ძანტორა და წინამძღვარი (ნასტოიატელი) მონასტრებისა, ეკლესიებისა და უდაბნოებისა.

ამასთანავე სემინარიის გამგეობა მიიღებს რა მხედველობაში, რომ თვით ძანტორის არხიეშიაც ბლომად მოიპოვება ძველი გრამატები და ხელნაწერები, უმორჩილესად სთხოვს ძანტორას იმათ გამოგზავნასაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესამუშავებლად.

„თუ საქართველო-იმერეთის სინოდის ძანტორა დათანხმდება სემინარიის მამგეობის თხოვნაზედ, ამ შემთხვევაში ხსენებულ ხელნაწერთა გამოგზავნა და ამათ შესანახად შუაგების გაკეთება უნდა იკისროს თვითონ იმ ეკლესიებში და მონასტრებში, რომელნიც ამ ხელნაწერებს გამოგზავნიან სემინარიაში.“

რეზოლიუცია (განჩინება) სინოდალონის ძანტორისა, 31 მაისს.

„ყველა მონასტრების წინამძღვართ, ბლალღოხინებსა და აგრეთვე იმერეთის ეპისკოპოსს მოეთხოვოს ამ საგანზე ცნობანი; გაეგზავნოს ამათ ფარმა—თუ როგორ უნდა აღწერონ მონასტრის ხელნაწერები და კუთვნილება, და თან ეკითხოს ამათ: თანხმა არიან, თუ არა, რომ საკუთრებათ დაუთმონ თავიანთ ხელნაწერნი ანუ დროებით ათხოვებენ.“

უცხო ქვეყნები

საზრანავითი

შრანცუხული გაზეთები საესეა იმ ორი ღღესასწაულების აღწერით, რომელიც ერთსა-და-იმამე ღღეს—9 ესკენის-თვეს, იყო საფრანგეთის ორს ქალაქში; მონბელიარში და პერპინიანში. პირველ ამ ქალაქთაგანი ღღესასწაულობენ იმ გამოჩენილის პოლკოვნიკის ღღერ-რო-შეროს ძეგლის კურთხევასა, რომელმანც ასე მამატურად და თავე განწირულებით დაიცვა ბერმანიასთან ბრძოლის

დროს ბელჭორის ცინე-ქალაქი, და ეორეში—პერპინიანში მკანონიანეც დასკლავთ-მრიცხველია და პოლკოვნიკი მომქმედის პირის და რესპუბლიკელის ჭრანსუა პრავოს აგრეთვე ძეგლის კურთხევა.

ორივე ღღესასწაული ღღდის ამბით გადაიხადეს ფრანცუხებმა; ღღდ-ძალი ხალხი დაესწრო ადგილობრივი და პარიჟიდან მოსულებიც და ბევრი მჭევრ-მეტყველური სიტყვა წარმოთქვა. მონბელიარში დაესწრო შინაგან საქმეთა მინისტრი ლეპერი და პერპინიანში კი სახალხო განათლების მინისტრი შულჟერი.

მოგვყავს პირველ ამათაგანი—ლეპერის სიტყვიდან რამდენიმე უფრო საინტერესო ადგილები:

„ბატონებო, თუ ჩვენ ღღეს ამ ჩინებულს ქალაქს მონბელიარში ვართ, ამას უნდა უმადლოდეთ პოლკოვნიკს ღღანჭერ-რომეროს, რომელმაც ბელჭორის დაცვით დაიცვა თქვენი ქალაქი, თვით თქვენი ხალხოსნობა. მე არ მინდა ვიფიქრო, მეშინია ვიფიქრო იმაზედ—თუ რა მდგომარეობაში იქნებოდით თქვენ და მთელი საფრანგეთიც, თუ რომ ღღანჭერის ძტრისთვის დაეთმო ბელჭორა. ღღანჭერმა შეუნახა თქვენი თავი საზოგადო სამშობლოს.“

„ღღიცვათ სამშობლო! სამშობლოზე უფრო ძვირფასი არა არის-რა კაცი-სათვის, განსაკუთრებით იმ კაცისათვის, რომელსაც ამ სამშობლოს წართმევას ემუქრებიან! აი ამისთვის არის, რომ ძველის-ძველიდგანვე ყოველი ხალხი აღიღებდა, პატივს სცემდა და ყოველთვის მაღლობით იხსენიებდა იმ კაცებს, რომელთაც სამშობლოს ერთობა და დაუმოკიდებლობა დაიცვას, რომელთაც ხალხს დაცვეს იმის ნაციონალიობა, ერობა და თვით-არსებობა.“

„ღღანჭერი ღღოსია ამ ძეგლისა, რომლის კურთხევას ჩვენ ვესწრებით ღღეს აქ. ის ღღოსია ჩვენის მაღლობისა, თავყანის-ცემისა და თანაგრძნობისა. იმან დაუცვა საუკეთესო მარა თავის სამშობლო საფრანგეთს. ბელჭორში ყოფნია დროს იმან გამოუცხადა თავის ჯარს: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი მოვალეობა საზოგადო სამშობლოს წინაშე; უნდა ვიცოდეთ ამასთანავე დაცვა ამ მოვალეობისა.“

„ახლა სხვა დრო არის, ჩემო თანამემამულენო. მტრისაგან მამულის დაცვა ჩვენ ახლა აღარ გვეჭირება. ჩვენი მოვალეობა ახლა ის არის, რომ ღღანჭერ-როშერისავით გამოვიჩინოთ მხენეობა, გულ-მოდგინება და თავე-განწირულება საფრანგეთის რესპუბლიკისა და კანონიერ მმართველობის დასაცველად. ეს არის ახლანდელი მოქალაქის, პატრიოტების უპირველესი მოვალეობა და ამას მოვლის ჩვენგან საფრანგეთი...“

ოსმალეთი

შრანცუხულს გაზეთში „ჭრანში“ დაბეჭდილია სტამბოლიდან აღებული



კორესპონდენცია, რომელშიც იწერებოდა, რომ ხონთქარი და იმის კარის კაცები ამ უკანასკნელ დროს ძალიან განზე უყურებდნენ სირის ლუბერნატორს მითხად-ფაშასა. ხონთქარს ვარდა, თვითონ სირიელები და არაბები დიდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ თურმე მითხად-ფაშაზედ. საზოგადოთ იქაური ხალხი ძალიან აღელვებული არის, არ ემადლიერებიან მსმალეთის მმართველობაზე და, როგორც ისმის, აჯანყებულ ქურთებს უნდა შეუერთდნენ, თუ მთავრობამ არ დააკმაყოფილა იმათი მოთხოვნები.

— ამავე გაზეთის სიტყვით, საფრანგეთისა და ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრებს ვადინგტონსა და მარკის სალსბერის ჰქონიათ ღიჳში მოლაპარაკება საბერძნეთისა და მეგვიტის საქმეების შესახებ და როგორც იწერებოდა, ორივე მინისტრები ყველაფერში დათანხმებულანო.

გერმანია

ვენის კორესპონდენტი ინგლისურის გაზეთის „ტაიმსისა“ იწერება რომ ვენაში მყოფობის დროს თ. ბისმარკი და პესტრიის იმპერატორი თითქმის ყველაფერში დათანხმდნენ და ამ ნაირად, უეჭველია, რომ, თუ ამ მოკლე ხანში ომი ან დაპლომატიური შეტაკება მოხდა მეროპაში, ბერმანია და პესტრია ერთად იქმნებიან და თანხმობით იმოქმედებენო. მრთს ჩასმეში ვერ მოიხზრო მხოლოდ თ. ბისმარკმა პესტრიაო: საფრანგეთის წინააღმდეგ თუ რამე ატყდა პესტრია ამ შემთხვევაში მაშინ იმის მხარს არ დაიჭერსო.

ფოთი-თფილისის რკინის გზა.

განცხადება

ფოთი-თფილისის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნული არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით; იმ მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიღი-მოღიან, იგინი არ მიიღებენ.

30 სექტემბერს

თფილისიდან
ღამისა 6 საათზე

მცხეთიდან
ღამისა 7 საათზე

1-ლს ოქტომბერს

ღილისა 7 საათ. 07 მინ.
8 საათ. 10 მინ.
10 საათ. 01 მინ.
11 საათ. 03 მინ.
12 საათ. 10 მინ.

ღილისა 8 საათ. 07 მინ.
9 საათ. 11 მინ.
11 საათ. 01 მინ.
12 საათ. 05 მინ.

შუაღლისას 1 საათ. 24 მინ.

2 საათ. 15 მინ.
4 საათ. 05 მინ.
5 საათ. 17 მინ.
ღამისა 7 საათ 14 მინ.
8 საათ. 18 მინ.
9 საათ. 55 მინ.
11 საათ. 05 მინ.

ღამისა 3 საათ. 13 მინ.
6 საათ. 10 მინ.
7 საათ. 17 მინ.
8 საათ. 21 მინ.
9 საათ. 58 მინ.

შველა მატარებელში იქნება ადგილი 48 პასაჟირისათვის I კლასში, 128 II კლასში და 600 პასაჟირისათვის III კლასში.

ღღესწაულის დღეს და წინა დღესაც, თფილისისა და მცხეთის სტანციებში, პასაჟირებისათვის ბილეთები გაიყიდებიან ოთხ კასსაში: I და II კლასების ბილეთები სამუდამო სტანციის კასში, მესამე კლასისა კი სამ დროებით გამართულ კასებში შემდეგი ნომრებით № № 2, 3 და 4 სტანციის შენცების ახლო. შველა წამსვლელ მატარბლისათვის იმდენი ბილეთები გაიყიდებიან, რამდენიც ვაგონში ადგილებია. შემდეგ კასები დაიკეტებიან და ახლად გაიღებიან ახალი მატარებლის მოსვლამდინ ნახევარ საათის წინათ.

იმ პასაჟირებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტის და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდან ღამის თერთმეტ სათამდინ. (3—3)

რკ. გზა.	ღილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი ..	9 21	5 18	მ კაპ.	მ კაპ.	მ-ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი 25 სექტემბ.		მრევნ. მკილ, წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა ...	10 11	6 27	85	44	ძავასიის აქთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 40	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ
ზორი ...	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	შქვ. წითელი	2 30	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ხაშური ...	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	მგრი ფუთი	1 50	მ რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი და
სურამი ...	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარშავს	2	ბაზა მრევნისა, ფუთი.	8 70	ბარაღევიჩი—წინაგ. აგათმყოფობის.
შვირილა ..	5 49		7 21	3 69	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთს	9 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი წინაგ.
რიონი ...	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაენტლი ბაზა ფუთი.	11 80	აგათმყოფ.; რეიზი—თვალის, შურავ-
სამბრედია .	7 51		9 66	4 93	ინგლისში.	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	8 50	ღვევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ფოჩტა		— თრაქამისა ფუთი	4 20	ბოვი—გულისა და შინაგ.
ფოთი	9 50		11 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ,		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—ში-
ფოთი	9 3				მუთაისს, რუსეთს—ყოველ		მონი ფუთი	5 80	ნაგ, ასტუ-ცატუროვი—ქალისა და
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8	დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		მონის სანთელი ფუთი.	7 60	ბავშვების აგათმყ.
სამბრედია .	11 5		2 61	1 33	ხუთშ. მზურ.—პარასკ. და ორშ. ძა-		სტეარინის სანთელი ფ.	11 70	ს ზ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში-
რიონი	12 13		3 84	1 97	ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-		— ცხვისა, ლიტრა		ნაგ. აგათმყ. და შურავლვევი—კანის
შვირილა ..	1 18	ღამე.	5 3	2 56	სიდან: თფილისისა და ფოთისაკენ—		სპირტი ვედრო	4 50	და ვენერიულის.
სურამი	5 12		1 10	7 34	ყოველ დღე კვირას გარდა. მზურ-		შაქარი ბროც. ფუთ	7 25	პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ბ ი ა ნ: ლი-
ხაშური	5 39		1 37	7 51	გეთს—ორშ. და პარასკ.		— ფხნილა ფუთი	6	ცივი, შინაგ.; ასტუ-ცატუროვი—ვე-
ზორი	7 5		4 8	9 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	შავა რვალის გრვ.	65	ნგრ. და კანის; ბაბაევი—გულისა და
მცხეთა	8 50		6 59	11 39	და სამზღვარ გარეთ:		ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14 50	შინაგ. აგათმყოფ.
თფილისი . . .	9 31		7 56	12 24	ღია წიგნის	3	თამბაქო საშუალო ფთ.	6 70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი, შინაგ.; შურ-
					დაბეჭდილის (სამი მისხალი)	7			ავღვევი—ვენერ. და კანის რეიზი—